საქართველოს ბანკი

OCSC231698118

10/03/2023

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

არქიტექტურის სამსახურს)

გაცნობებთ, რომ სს „საქართველოს ბანკი“, როგორც იპოთეკარი თანახმაა, რომ სს „საქართველოს ბანკის“-ს უფლების საგანზე (ს/კ 01.13.02.003.205 მის. ქ.თბილისი, ბელიაშვილის ქ. N149) განხორციელდეს სამშენებლო სამუშაოები პროექტის (განაცხადის ნომერი - AR1950817 , გადაწყვეტილება - 6346373, თარიღი - 28/02/2023) შესაბამისად.

სს საქართველოს ბანკი

ბიზნესის ბანკირი

ბიძინა ჩიგოგიძე

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

90303224797123

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N230062982

რეგისტრაციის თარიღი

18.01.2023 წ

ნოტარიუსი: ირმა შარვაძე
მისამართი: თბილისი, ჟ. შარტავას 42
ტელეფონი: 591709917

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge
ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

სანოტარო აქტი

მე, ნოტარიუსი ირმა შარვაძე, სანოტარო ბიურო, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქალაქი თბილისი, ქ. შარტავას #42-ში, მიმიწვიეს სანოტარო მოქმედების შესასრულებლად გაგარინის 29ა-ში, სადა მომმართა **მიხეილ გომართელმა**, რომელმაც განაცხადა, რომ არის სს საქართველოს ბანკის (საიდენტიფიკაციო ნომერი: 204378869) წარმომადგენელი, რაც დასტურდება სს 'საქართველოს ბანკი'-ს ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეესტრიდან (ინახება ჩემს არქივში) და რწმუნებულებით, გაცემული სს 'საქართველოს ბანკი'-ს გენერალური დირექტორის არჩილ გაჩეჩილაძის მიერ 2021 წლის 20 ოქტომბერს, დამოწმებული ნოტარიუს ირმა შარვაძის მიერ, რეესტრში რეგისტრაციის ნომერი 211170755 (ინახება ჩემს არქივში). **მიხეილ გომართელმა** მოითხოვა რწმუნებულების შედგენა **ბიძინა ჩიგოგიძეს** სახელზე და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე **მიხეილ გომართელის** პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **მიხეილ გომართელმა** (დაბადებული 31.07.1975წ. ქ. თბილისში, პირადი ნომერი: 01007008711, მცხოვრები თბილისში, ალ. ყაზბეგის გამზ. N 24გ ბ. 226) მომმართა. მე დავადგინე მისი ქმედუნარიანობა, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილება და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შემდეგ შევადგინე წინამდებარე რწმუნებულება, რომელიც წავუკითხე და განვუმარტე მარწმუნებელს. მარწმუნებელმა წაიკითხა რწმუნებულება და განაცხადა, რომ რწმუნებულება ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ **მიხეილ გომართელმა** ხელი მოაწერა შემდეგ რწმუნებულებას:

რწმუნებულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ირმა შარვაძის სანოტარო არქივში, ხოლო ერთი გადაეცა მარწმუნებელს.

გადახდილია სახელმწიფო 30.00 ლარი, + სანოტარო ბიუროს გარეთ შესრულებული მოქმედებისთვის 35,00 ლარი დღგ 11,70 ლარი, რეგისტრაციის საფასური 5.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა ("სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის სახელმწიფოსა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობის, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურებისუფასების დამტკიცების შესახებ") 31-ე, 34-ე და 39-ე მუხლისა და საგადასახადო კოდექსის 166 მუხლისა.

რწმუნებულება

სს „საქართველოს ბანკის“ გენერალური დირექტორის მოადგილე **მიხეილ გომართელი** (შემდგომში - მარწმუნებელი) ანიჭებს უფლებამოსილებას **ბიძინა ჩიგოგიძეს** (პ/ნ 01034003952, შემდგომში - რწმუნებული), რათა მან მარწმუნებლის (სს „საქართველოს ბანკის“) სახელით:

1. ხელი მოაწეროს გენერალური საკრედიტო ხაზით მომსახურების შესახებ ხელშეკრულებას(ებს) ულიმიტოდ.
2. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში მარწმუნებლის მიერ გასაცემ კრედიტის, საკრედიტო ხაზის, ოვერდრაფტის გაცემასთან დაკავშირებულ შესაბამის საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.
3. ხელი მოაწეროს 5,000,000 (ხუთი მილიონი) აშშ დოლარის (შესაბამისი კურსით სხვა ვალუტაში) ფარგლებში მარწმუნებლის მიერ გასაცემ გენერალური საკრედიტო ხაზის შესახებ ხელშეკრულების შემადგენელ საკრედიტო, საკრედიტო ხაზის და ოვერდრაფტის ხელშეკრულება(ებ)ს/შეთანხმება(ებ)ს/გარიგება(ებ)ს.
4. ხელი მოაწეროს გირავნობის, იპოთეკის, თავდებობის ხელშეკრულებებს ულიმიტოდ ან/და უზრუნველყოფის ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ სხვა სახის ხელშეკრულებას(ებს)/გარიგებას(ებს)/დოკუმენტ(ებ)ს, გარდა მარწმუნებლის სასარგებლოდ რეგისტრირებული უფლებების გაუქმების (მათ შორის იპოთეკის/გირავნობის მოხსნა და სხვა) წერილებისა.
5. ხელი მოაწეროს ბანკის მიერ კლიენტი-კომპანიების აუდიტორებისათვის წარსადგენ წერილობით დოკუმენტაციას.
6. ხელი მოაწეროს ბანკის კორესპონდენციას (შემომავალ და გამავალ წერილებს), რომელიც დაკავშირებულია სამსახურებრივ საქმიანობასთან.

რწმუნებულება გაცემულია 2023 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.

მარწმუნებელი

მიხეილ გომართელი მიხეილ გომართელი

ნოტარიუსი

